საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 24.05.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი - 064/19

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ა. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ა. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 24 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წელს ადვოკატ ა. ბ.-ს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე, რისთვის 2016 წლის 22 იანვარს გაუფორმა მინდობილობა, ხოლო 2016 წლის 08 მარტს მათ წერილობით გააფორმეს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. მ. კ.-მ ადვოკატს გადასცა 2700 ევრო და მოსთხოვა ამ თანხის ხელშეკრულებაში ასახვა. ადვოკატმა განუმარტა, რომ მისთვის მიცემული თანხიდან 700 ევრო იყო მომსახურების თანხა, ხოლო 2000 ევრო სახელმწიფო ბაჟის თანხა. შეთანხმებით, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მ. კ.-ს ადვოკატისთვის, ასევე, უნდა გადაეხადა მოპასუხისგან ამოღებული თანხის 10%.

1.3 მ. კ.-ის განმარტებით ადვოკატმა გარანტია მისცა, რომ მისთვის სასურველ შედეგს მიაღწევდა, თუმცა ადვოკატმა ა. ბ.-მ არ გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოპასუხის ვალდებულებისგან თავისუფალ ქონებაზე, რის გამოც საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში. ასევე, ადვოკატი სასამართლო სხდომაზე იყო მოუმზადებელი, ის სხდომის მიმდინარეობის დროს ეცნობოდა საქმის მასალებს და მ. კ.-ს აწყვეტინებდა საუბარს, იმ მოტივით, რომ მოსამართლე სხდომის დარბაზიდან გააძევებდა.

1.4 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ ადგილი ჰქონდა დისციპლინურ გადაცდომას, ვინაიდან ადვოკატმა ხელშეკრულებაში ერთიანი სახით მიუთითა 2700 ევრო და ამ თანხიდან არ გამიჯნა ჰონორარისთვის და საქმისწარმოების ხარჯებისთვის გათვალისწინებული თანხები. ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ ხარჯის დიდი ნაწილი - 3000 ლარი, საჭირო იყო სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, თუმცა არც ეს თანხა გამოყო ცალკე სახით. ამასთანავე, ხელშეკრულებაში მითითებული იყო ჰონორარი მხოლოდ სამოქალაქო საქმის წარმოებისთვის, თუმცა ეს ჰონორარი ასევე მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლობასაც.

2. საპროცესო ეტაპზე გამოკითხული მოწმე - დ. ი.-ის განმარტება:

2.1 2019 წლის 01 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა დ. ი.. მოწმის განმარტებით, ადვოკატ ა. ბ. აწარმოებდა მის საქმეებს და მ. კ.-ს ურჩია მასთან დაკავშირება. მოწმე დაესწრო ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას, რა დროსაც ადვოკატმა მ. კ.-ს გადასცა მხოლოდ ერთი ფურცელი და მან ამ ფურცელზე მოაწერა ხელი. მოწმე ასევე დაესწრო მ. კ.-ის მიერ ა. ბ.-ისთვის თანხის გადაცემას, რა დროსაც მან ადვოკატს გადასცა 2700 ევრო. ადვოკატმა განუმარტა, რომ 2000 ევრო იყო ბაჟის თანხა, ხოლო 700 ევრო ადვოკატის მომსახურების თანხა.

2.2 ადვოკატი დაჰპირდა მ. კ.-ს, რომ მოპასუხის ქონებას დაადებდა ყადაღას და შემდგომ თანხას ამოიღებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ადვოკატმა ყადაღა დაადო ქონებას, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეს კი გააჩნდა სხვა ქონებებიც, რამაც საჩივრის ავტორის უკმაყოფილება გამოიწვია.

3. ადვოკატ ა. ბ.-ის პოზიცია:

2.1 2019 წლის 18 ივნისს ადვოკატმა ა. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლითაც არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის წარმოდგენილ პრეტენზიებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. კ.-მ მის სახელზე მინდობილობა გააფორმა 2016 წლის 22 იანვარს სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის დავის დაწყების მიზნით. მინდობილობის გაფორმების შემდეგ, საჩივრის ავტორი აპირებდა საზღვარგარეთ წასვლას და ადვოკატს მოსთხოვა წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება. 2016 წლის 08 მარტს, ადვოკატსა და მ. კ.-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხა, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა უცხოურ ვალუტაში - ევროში

და შეადგინა 2700 ევრო, რაც იმ დროისათვის შეადგენდა 5400 ლარს. აღნიშნული თანხა - 2700 ევრო მ. კ.-მ ადვოკატს სრულად გადასცა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი გაეცნო ხელშეკრულების შინაარსს და ხელმოწერით დაეთანხმა მის პირობებს. ადვოკატის განმარტებით, მან ხელშეკრულების ასლი გადასცა მ. კ.-ს. ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულების შედგენის პერიოდში კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის ეროვნულ ვალუტაში დათქმას და ადვოკატი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების საგნისთვის გათვალისწინებული თანხის სხვა ვალუტაში მითითება არ წარმოადგენს კანონდარღვევას.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მ. კ.-ისგან მიღებული თანხა გათვალისწინებული იყო ყველა იმ სამართლებრივი მოქმედებისთვის, რაც საჭირო იქნებოდა მისი ინტერესების დასაცავად. ამასთანავე, თავად მ. კ.-მ შესთავაზა ადვოკატს თანხის წინასწარ გადახდა, რომ შემდგომში ნებისმიერი იურიდიული მოქმედებისთვის მას აღარ დასჭირვებოდა თანხის მიცემა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მ. კ.-ის მიერ გადაცემული თანხიდან (2700 ევროდან, რომელიც იმ დროისთვის ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა დაახლოებით 5400 ლარს) 1000 ლარი წარმოადგენდა მომსახურების თანხას, რომლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ადვოკატმა სარჩელს დაურთო, 3000 ლარი ადვოკატმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟისთვის. ასევე, ადვოკატმა გამოწერა ორი ორდერი სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნით. თითოეული ორდერისთვის გათვალისწინებული იყო 500 ლარი. მ. კ.-ის მიერ გადაცემული თანხიდან დარჩენილი თანხა, რაც დაახლოებით 400 ლარს შეადგენდა, წარმოადგენდა ტექნიკურ ხარჯებს. მ. კ.-მ ადვოკატს თანხის ნაწილი გადასცა მინდობილობის გაფორმების დროს, ხოლო ნაწილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროისათვის. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი ფლობდა ინფორმაციას გადაცემული თანხის მიზნობრიობის თაობაზე, რაზედაც მ. კ.-ს ინფორმაცია მიაწოდა მის სახლში ყოფნის დროს და მას ამ საკითხზე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან მ. კ.-ის სასარგებლოდ განახორციელა შემდეგი მოქმედებები: 2016 წლის 29 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხე მხარის - გ. ა.-ის სახელზე რეგისტრირებულ ქონებას; ადვოკატმა დადგენილ ვადაში წარადგინა სარჩელი, რომელიც წარმოებაში იქნა მიღებული, თუმცა, სამოქალაქო დავა სასამართლოში გაჭიანურდა, რამაც მ. კ.-ის გაღიზიანება გამოიწვია. სასამართლო სხდომა დასრულდა 2017 წლის 28 დეკემბერს. სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, ადვოკატმა დააყენა არაერთი შუამდგომლობა. მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილებიდან გამოითხოვა საქმის მასალები, რომელიც დაერთო სამოქალაქო საქმეს. ადვოკატის განმარტებით, საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით, მან სასამართლოში ასევე წარადგინა მ. კ.-ისა და მისი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობები.

2.7 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. კ.-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ერთ-ერთ მოპასუხეს დაეკისრა მისთვის თანხის გადახდა, მეორე მოპასუხე კი სასამართლომ მიიჩნია კეთილსინდისიერ შემძენად, რის საფუძველზეც ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად არ ცნო. ადვოკატმა ა. ბ.-მ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, თუმცა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ მისცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დავის წარმატებით დასრულების გარანტია, რის გამოც მ. კ.-მ არ გადაიხადა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზისთვის გათვალისწინებული თანხა, მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღება და აღსრულების დაწყება. ადვოკატმა სააღსრულებო ფურცელი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, მ. კ.-სთან შეთანხმებით, წარადგინა კერძო სააღსრულებო ბიუროში. ვინაიდან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა ოქროს ნივთების ჩამონათვალს. აღმასრულებლის მოთხოვნით ადვოკატმა მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დაზუსტების მიზნით, რაც დაკმაყოფილდა. მოპასუხე მხარე, ი. ხ. თავს არიდებდა აღმასრულებელთან გამოცხადებას და ადვოკატმა მ. კ.-ის თხოვნით მიმართა პროკურატურას ი. ხ.-ის მიერ ჩადენილი სავარაუდო თაღლითობის დასადგენად. ადვოკატმა მოამზადა საჩივარი, რომელიც დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობის საფუძვლით. გამოკითხვაზე დაბარებული იყო მ. კ., რომელმაც სთხოვა ადვოკატს მასთან ერთად წასვლა და ორდერის გამოწერა იმ თანხის გათვალისწინებით, რაც მას გადასცა. ადვოკატმა პირველი დაცვის ორდერი გამოწერა 2016 წლის 22 მარტს, ხოლო მეორე - 2019 წლის თებერვალში. მ. კ.-ის გამოკითვის შემდეგ, 2019 წლის 12 თებერვალს ადვოკატმა კვლავ მიმართა ქუთაისის რაიონულ პროკურატურას განცხადებით შეესწავლათ საქმის მასალები და გამოძიება ასევე წარმართულიყო თაღლითობის მუხლით. განცხადების შეტანის შემდეგ, მ. კ. დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ არ აპირებდა ი. ხ.-ის პასუხისგებაში მიცემას თაღლითობის ბრალდებით და მიდიოდა თბილისში ახლობელთან, რომელიც დაეხმარებოდა საქმის წარმოებაში. მ. კ.-მ ადვოკატს გამოართვა საქმის მასალები. ადვოკატთან საუბრისას, საჩივრის ავტორს არაკვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ დაუფიქსირებია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 17 სექტემბერს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, კლიენტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულების, ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესაძლო დარღვევის საფუძვლით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, 8.6 და 8.8 მუხლები).

3.2 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე (ადვოკატის მხრიდან გარანტიის მიცემის დაუშვებლობაზე, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებაზე) და არ აღძრა დევნა ამ ნაწილში, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დაადგინა ადვოკატ ა.

ბ.-ის მიერ კლიენტის საქმის შედეგზე მისთვის გარანტიის მიცემის ფაქტი და კლიენტის კვალიფიციურად ან კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულების დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა; ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.3, 8.5). შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია მითითებულ მუხლებზე აღარ მსჯელობს და საჩივრის ავტორის პრეტენზიას განიხილავს ადვოკატის მხრიდან ჰონორარის ოდენობის, მისი გაანგარიშების წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესაძლო დარღვევის ნაწილში, რა საფუძვლითაც საპროცესო კოლეგიამ აღძრა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა.

I სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 2016 წლის 22 იანვარს, მ. კ.-მ მინდობილობის საფუძველზე ადვოკატ ა. ბ.-ს მიანიჭა უფლებამოსილება წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება;*
- *მინდობილობა N160050761.*

4.1.2 2016 წლის 08 მარტს ადვოკატ ა. ბ.-სა და მ. კ.-ს შორის გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება იურიდიული მომსახურეობის გაწევის თაობაზე. ადვოკატს მ. კ.-ის ინტერესების დაცვა უნდა განეხორციელებინა სამოქალაქო დავაზე - ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და თანხის დაკისრების მოთხოვნის ფარგლებში:

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება;*
- *08.03.2016 წლის ხელშეკრულება N10.*

4.1.3 მხარეთა ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს მ. კ.-ის ინტერესები უნდა დაეცვა სისხლის სამართლის საქმეზეც, რომელიც დაკავშირებული იყო უძრავი ქონების გასხვისებასთან. ადვოკატმა ქუთაისის რაიონულ პროკურატურას განცხადებით მიმართა მ. კ.-ის მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით 2015 წლის 16 სექტემბერს და 2019 წლის 12 თებერვალს ამავე პირის მიმართ თაღლითობის მუხლით გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ადვოკატის ახსნა-განმარტება;*

- *16.09.2015 წლის განცხადება ქუთაისის რაიონული პროკურატურის მიმართ;*
- *12.02.2019 წლის განცხადება ქუთაისის რაიონული პროკურატურის მიმართ.*

4.1.4 ადვოკატმა ა. ბ.-მ მ. კ.-ისგან მიიღო 2700 ევრო, ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული თუ რას მოიცავდა აღნიშნული თანხა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებები;*
- *08.03.2016 წლის ხელშეკრულება N10.*

4.1.5 ადვოკატმა ა. ბ.-მ კლიენტისგან მიღებული თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟისთვის გათვალისწინებული თანხა 3000 ლარის ოდენობით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებები.*

4.1.6 წერილობით ხელშეკრულებაში მითითებული ჰონორარი ასევე მოიცავდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ადვოკატის წარმომადგენლობას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებები.*

4.1.7 ადვოკატმა ა. ბ.-მ 2016 წლის 29 თებერვალს განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის გამოყენების შესახებ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით დააკმაყოფილა ადვოკატის განცხადება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *29.02.2016 წლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;*
- *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 29.02.2016 წლის განჩინება, საქმე N384.*

4.1.8 2016 წლის ადვოკატმა ა. ბ.-მ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, გარიგების თვალთმაქცურად ცნობის, ხელშეკრულების ბათილად ცნობის, თანხის დაკისრების, ოქროს ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. კ.-ის წარმომადგენლის ა. ბ.-ის სარჩელი, მოპასუხე მხარეს მ. კ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის გადახდა; სხვა ნაწილში მ. კ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 28.12.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმეN2/407-16.*

4.2 სადავო ფაქტი:

საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული თანხის მიზნობრიობა, ვინაიდან ადვოკატის განმარტებით მიღებული თანხიდან 1000 ლარი წარმოადგენდა მომსახურების თანხას, 3000 ლარი სახელმწიფო ბაჟის თანხას, 500-500 ლარი ორი სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნით გამოწერილ ორი ორდერის საფასურს, ხოლო დარჩენილი თანხა (დაახლოებით 400 ლარი) ტექნიკურ ხარჯებს. საჩივრის ავტორის განმარტებით კი ადვოკატისთვის გადაცემული თანხიდან 700 ევრო იყო მომსახურების თანხა, ხოლო 2000 ევრო სახელმწიფო ბაჟის თანხა.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ დარღვეულია ჰონორარის ოდენობის, მისი გაანგარიშების წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.6).

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).

6.2. მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატს აკისრია საქმის დაწყებამდე, რათა კლიენტს მიეცეს შესაძლებლობა სრულყოფილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. კლიენტისათვის თავიდანვე უნდა იყოს ცნობილი, რომ გარდა ადვოკატის მომსახურების საფასურისა, კონკრეტული საქმის წარმოება მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს (სახელმწიფო ბაჟს, სანოტარო, სათარჯიმნო, საექსპერტო, სამგზავრო, ტექნიკურ და სხვა ხარჯებს), რომელიც კლიენტმა უნდა გაიღოს. მართალია ადვოკატი წინასწარ, სიზუსტით ვერ გათვლის რა თანხა იქნება ეს, თუმცა მიახლოებითი ოდენობა უნდა განსაზღვროს და მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ემსახურება კლიენტის ინტერესებს - სრულყოფილად იყოს ჩართული საქმის მიმდინარეობის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

6.3. „ადვოკატმა კლიენტს უნდა განუმარტოს მომსახურების ფარგლები, მომსახურებისთვის გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობა, ჰონორარისგან დამოუკიდებლად მოსალოდნელი ხარჯები და კლიენტისგან მიღებული თანხების მიზნობრიობა - თუ რას მოხმარდება ის. „იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, თუ 3) მოურიგდეს მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.4. ჰონორარის ოდენობა, ისევე როგორც ჰონორარის ოდენობის გამოთვლის წესი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. აღნიშნული ვალდებულება მოიცავს კლიენტის ინფორმირებას იმის შესახებ თუ სამართლებრივი მომსახურების რა ფარგლებს სთავაზობს ადვოკატი კლიენტს მის მიერ განსაზღვრული ჰონორარის ოდენობაში. კლიენტმა წინასწარ უნდა იცოდეს მომსახურების საფასური და მისგან დამოუკიდებლად, მის საქმეზე მოსალოდნელი ხარჯები. გამოთვლის წესის განმარტებისას, სასურველია ადვოკატმა განსაზღვროს ჰონორარი ეტაპების მიხედვით, მის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციულად. ამით ადვოკატი თავიდან აირიდებს იმ გართულებებს, რაც შესაძლოა მოჰყვეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის დროს წარმოშობილ ადვოკატის ფიდუციურ ვალდებულებას - დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.5. „ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა... კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით ... ეკისრება ადვოკატს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #084/13).

6.6. დისციპლინურ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა მოიცავდა სამოქალაქო საქმეში წარმომადგენლობას. მიუხედავად ამისა, ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, ასევე მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლობას (პარ. 2.5), რაც ეწინააღმდეგება წერილობითი სახით განსაზღვრულ პირობებს, ხოლო დამატებითი შეთანხმება აღნიშნულის თაობაზე საქმეში არ არის წარმოდგენილი. განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივაციას. შესაბამისად, მ. კ. მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მას არ მიაწოდა ინფორმაცია ჰონორარისა და ხარჯების შესახებ და ადვოკატს სამოქალაქო საქმის წარმოების მიზნით შედგენილ ხელშეკრულებაში აღრეული აქვს სისხლის სამართლის საქმეზე მომსახურების ჰონორარი. განხილვის კოლეგია აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ადგენს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მხრიდან არ მოხდა კლიენტის

სათანადო ინფორმირება ჰონორარის გამოთვლის წესის შესახებ, რაც მოგვიანებით გახდა მ. კ.-ის პრეტენზიების საფუძველი.

6.7. განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას, რომ ხელშეკრულებაში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ადვოკატის ჰონორარი და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, კერძოდ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების 4.1.1. მუხლში მითითებულია 2700 ევრო, თუმცა არ არის გამოყოფილი ადვოკატის ჰონორარი და საქმისწარმოების ხარჯები. მაშინ როდესაც, ადვოკატი მიუთითებს, რომ კლიენტისგან წინასწარ მიღებული თანხა მოიცავდა როგორც ჰონორარს, ასევე მომსახურებისას გაწეულ ხარჯებს, მას შესაძლებლობა ჰქონდა ხელშეკრულებაში მიეთითებინა და/ან შემდგომში დაეზუსტებინა, თუ რას მოიცავდა თითოეული ფინანსური ვალდებულებისთვის გათვალისწინებული თანხა. ხელშეკრულების გარდა, საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებას ჰონორარის და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

6.8. ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა საქმის მიმდინარეობის პროცესშიც მიეწოდებინა კლიენტისათვის ინფორმაცია მომსახურებისას გაწეული ხარჯების შესახებ, რისი წინასწარ განსაზღვრა და ხელშეკრულებაში მითითება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ადვოკატს ხელშეკრულებაში ჰქონდა გათვალისწინებული ხარჯებისთვის განსაზღვრული თანხა, რაც შერეული ჰქონდა მომსახურებისთვის გათვალისწინებულ ჰონორართან და ეს თანხები ერთიანი სახით წარმოადგენდა 2700 ევროს. ასეთი ჩანაწერის პირობებში, კლიენტისთვის შეუძლებელი იყო განსაზღვრა, კონკრეტულად რა თანხა წარმოადგენდა ჰონორარს და რა თანხა წარმოადგენდა ხარჯებს.

6.9. განხილვის კოლეგია ასევე ყურადღებას ამახვილებს ხელშეკრულებაში მითითებული თანხის ვალუტაზე, რომელიც გაკეთებულია უცხოურ ვალუტაში - ევროში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N011/18 განმარტა, რომ „დაუშვებელია ადვოკატმა არა მხოლოდ ანგარიშსწორება განახორციელოს, არამედ მომსახურების შეთავაზებაც გააკეთოს უცხოურ ვალუტაში. ადვოკატებმა მათ მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარი უნდა განსაზღვრონ ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით (ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34.2[1])“. ეროვნულ ვალუტაში ფასის განსაზღვრის ვალდებულება გათვალისწინებული იქნა ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონში 2017 წელს შესული ცვლილებებით, რაც ამოქმედდა ამავე წლის 1 ივლისიდან. მ. კ.-სა და ა. ბ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება კი გაფორმდა 2016 წლის 08 მარტს. ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ჰონორარის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრისა და ანგარიშსწორების ვალდებლებას კანონი არ ადგენდა.

6.10. ეთიკის კომისიის შეფასებით, ჰონორარის უცხოურ ვალუტაში ფასდადებითა და ანგარიშსწორებით, ადვოკატ ა. ბ.-ს არ დაურღვევია კანონიერების პრინციპი, რადგან ხელშეკრულების დადების მომენტში (2016 წელს) არ არსებობდა საქართველოში მომსახურების

გაწევისათვის ფასის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრისა და ანგარიშსწორების მოთხოვნა. შესაბამისად, ამ ნაწილში, ადვოკატი მოქმედებდა კანონისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად.

6.11. განხილვის კოლეგიამ, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ დარღვეულია ჰონორარის განსაზღვრის, ჰონორარის ოდენობის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რისთვისაც ადვოკატ ა. ბ.-ს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.12. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატს, მის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის უნდა განესაზღვროს დისციპლუნური პასუხისმგებლობის მსუბუქი ფორმა - დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.13. ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.14. „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 01.04.2015წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს–შ/3–15).

6.15. ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატის მიერ ჰონორარის გამოთვლისა და ხარჯების თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის ნაწილში მოიცავს, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას, მაშინ როდესაც სახეზეა მხოლოდ მოცემული ვალდებულების დარღვევა, (ეთიკის კომისიის 2016 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №009/16, ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №084/13), ასევე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, სხვა ეთიკური ვალდებულებების დარღვევებთან ერთად (ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №011/18; ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №098/17).

6.16. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ დარღვეულია მხოლოდ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. თუმცა, ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომა არ არის მძიმე ხასიათის, რადგან მას გავლენა არ მოუხდენია კლიენტის საქმის საბოლოო შედეგზე. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის შერჩევისას, ეთიკის კომისია, ასევე, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების მიღების

დროისთვის, ადვოკატ ა. ბ.-ს არ აქვს შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ფორმა სხვა საქმეზე. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას და ადვოკატი მომავალში გაითვალისწინებს ჰონორარის განსაზღვრის, გამოთვლისა და მოსალოდნელი ხარჯების თაობაზე კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას და მის მნიშვნელობას.

6.17. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას და არა სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს. შესაბამისად, კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ადვოკატისათვის.

6.18. განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დადგინდეს დისციპლინურ საქმეზე N064/19 ადვოკატ ა. ბ.-ის /სიითი№/ მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/